სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080105789757216

 # 1404 **06 / მაისი / 2016 წ.**

სააქციო საზოგადოება „კახეთის ენერგო დისტრიბუციის“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 4 მაისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სააქციო საზოგადოება „კახეთის ენერგო დისტრიბუციის“ SMP160001282 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

მომართვის მიხედვით, სააქციო საზოგადოება „კახეთის ენერგო დისტრიბუციას“ საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად გააჩნია 60 ერთეულამდე სხვადასხვა ტიპის ავტომანქანა და სპეც. ტექნიკა. კონკრეტულ შემთხვევაში დაზიანდა შემდეგი ავტომანქანები: ვაზ 2121 (ნივა), ტოიოტა ლენდ კრუიზერი, ორი ერთეული ფორდ ტრანზიტი. აღნიშნული ავტომანქანები 25-26 აპრილს გამოვიდა მწყობრიდან და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე საჭირო გახდა მომსახურების და სათადარიგო ნაწილების შესყიდვა განხორციელებულიყო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, სააქციო საზოგადოება „კახეთის ენერგო დისტრიბუციას“ გამოცხადებული ჰქონდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი პრეისკურანტით ავტომანქანების შეკეთების მომსახურებაზე SPA160000175, რომლის სახელშეკრულებო ჯამური ღირებულება ამოიწურა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პარალელურად გამოცხადდა ახალი ტენდერი SPA160011398, რომლის სტატუსი ამ ეტაპზე არის „შერჩევა/შეფასება“. პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისათვის განესაზღვრა არაუმეტეს 5 სამუშაო დღე, რომელიც იწურებოდა 27 აპრილს. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, გამოვლინდება გამარჯვებულად და სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამი სამუშაო დღის შემდეგ დაიდება ხელშეკრულება. აღნიშნული პროცედურების და აღდგომის დღესასწაულებთან დაკავშირებული არასამუშაო დღეების გათვალისწინებით ხელშეკრულების დადების მინიმალური სავარაუდო თარიღი იქნება 10-11 მაისი. ყოველივე ზემოაღნიშნულმა ვითარებამ აიძულა შემსყიდველი ორგანიზაცია გამარტივებული წესით, გადაუდებელი აუცილებლობით განეხორციელებინა შესყიდვა.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას, რადგან, როგორც მომართვაშია აღნიშნული, სააქციო საზოგადოება „კახეთის ენერგო დისტრიბუციას“ გამოცხადებული ჰქონდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი პრეისკურანტით ავტომანქანების შეკეთების მომსახურებაზე SPA160000175, რომლის სახელშეკრულებო ჯამური ღირებულება ამოიწურა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პარალელურად გამოცხადდა ახალი ტენდერი SPA160011398, რომლის სტატუსი ამ ეტაპზე არის „შერჩევა/შეფასება“. პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისათვის განესაზღვრა არაუმეტეს 5 სამუშაო დღე, რომელიც იწურებოდა 27 აპრილს. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, გამოვლინდება გამარჯვებულად და სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამი სამუშაო დღის შემდეგ დაიდება ხელშეკრულება. აღნიშნული პროცედურების და აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებული არასამუშაო დღეების გათვალისწინებით, ხელშეკრულების დადების სავარაუდო თარიღი იქნება 10-11 მაისი.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვის დაყოვნება, დიდი ალბათობით, გამოიწვევდა არსებული მდგომარეობის გაუარესებას. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ვითარება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას. კერძოდ, ორგანიზაციის საქმიანობის მნიშვნელობიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, კახეთის რვავე რაიონში ექსპლუატაციის და ტექნიკურ სამსახურებს თითქმის ყოველდღიურად უწევთ ავტომანქანებით გასვლა ავარიების შედეგების და მიზეზების აღმოსაფხვრელად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ავტომანქანები 24 საათის განმავლობაში იყვნენ სრულ მზადყოფნაში. ობიექტურ გარემოებათა გამო, შეუძლებელი იყო მომართვაში აღნიშნული გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომის წინასწარ განსაზღვრა. ამდენად, შესყიდვა განხორციელდა კანონისა და ზემოხსენებული ბრძანების მოთხოვნათა დაცვით.

ამასთან, სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სახსრების რაციონალურ და გამჭვირვალე ხარჯვაზე, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნაზე, ასევე, გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში მიმწოდებლის შერჩევაზე, პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი სააქციო საზოგადოება „კახეთის ენერგო დისტრიბუციის“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თავმჯდომარე ლევან რაზმაძე